№1315 2015 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

„ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 27 დეკემბრის №2188 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 27 დეკემბრის №2188 განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიქმნას ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის (შემდგომში - ფესტივალი) ჩატარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ირაკლი ღარიბაშვილი – საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი კვირიკაშვილი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი;

ტარიელ ხეჩიკაშვილი – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი;

ნოდარ ჯავახიშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;

ვახტანგ გომელაური - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

ნოდარ ხადური – საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

დავით ნარმანია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი;

ლერი ხაბელოვი - ა(ა)იპ - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი;

ალექსი ახვლედიანი - ა(ა)იპ - ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის - თბილისი - 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**